ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 63/16

ქ. თბილისი 20 ივნისი 2016 წ.

ერთი მხრივ სსიპ **,,რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი"** დირექტორის **თამაზ ნატრიაშვილის** სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორე მხრივ **შპს „SKYGLASS"**-ის დირექტორის **დავით კაპანაძის** სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანების შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტია გამარტვებული შესყიდვის საშუალებით „შემსყიდველის" მიერ „მიმწოდებლისაგან" შემდეგი დასახელების საქონლის შესყიდვა:

N	შესყიდვის ობიექტების კლასიფიკატორის კოდები	დასახელება		განზ. ერთ.	რაოდ.	ერთეულის ღირებულება (ლარი)	თანხა (ლარი)
		შესყიდვის ობიექტების კლასიფიკატორის მიხედვით	მიმწოდებლის მიხედვით				
1	44221100	ფანჯრები	მეტალოპლასტმასის ფანჯარა	$მ^2$	45,36	105,82	4800,00

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მისაწოდებული საქონლის საერთო ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით, შეადგენს **4800,00 (ოთხი ათას რვაასი ლარი)** ლარს.

3. საქონლის მიწოდების ვადები და მიღება-ჩაბარების წესი. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის პირობები

3.1. საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 საბანკო დღის მანძილზე.

3.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად საქონლის ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.3. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას განახორციელებს ინსტიტუტის თანამშრომელი ფრიდონ მშვილდაძე.

4. ანგარიშწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო, ეროვნულ ვალიუტაში.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა.

5. მხარეთა ვალდებულებანი

5.1. ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობისათვის მხარეები ეცდებიან ურთიერთობა მოაგვარონ მოლაპარაკების გზით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი, მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობით (ეს წესი არ ვრცელდება ფორსმაჟორულ სიტუაციაზე: სტიქიური უბედურებები, სამოქალაქო კონფლიქტები და ა. შ.).

6. სხვა პირობები

6.1. წინამდდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 4 აგვისტოს ჩათვლით.**

6.2. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეზემპლარად, თითო-თითო მხარეებისათვის და მათ გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

„შემსყიდველი"	**„მიმწოდებელი"**
სსიპ „რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი"	შპს „SKYGLASS"
მისამართი: ქ. თბილისი, მინდელის ქ. N10	**მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 33ა ბ. 47
ტელეფონი/ფაქსი: 2 321 165 / 2 323 956	**ტელეფონი/ფაქსი:** 599 18 16 59
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204862256	**საიდენ. N:** 404971955
ბანკის დასახელება: სახელმწიფო ხაზინა	**ბანკის დასახელება:** სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22	**ბანკის კოდი:** LBTTGE22
ანგარიში: 200122900	**ანგარიში:** GE49 LB01 1311 4247 9290 00
დირექტორი	დირექტორი
თ. ნატრიაშვილი	დ. კაპანაძე
ბ.ა.	ბ.ა.

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის მიერ 2016 წლის 20 ივნისს გაფორმებული № 63/16 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და აღნიშნულ შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მშვილდაძე ფრიდონი

20.06.2016 წ.